ბორჯომი

29 სექტემბერი
ხუთშაბათი
2022 წელი
№40 (9250)
ფასი 40 თეთრი

.რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

23 სექტემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე *დავით ზაალიშვილი.*

დეპუტატებმა დაამტკიცეს მთელი რიგი დებულებები და სამოქმედო წესები. მათ შორის ბორჯომის მუნიც-

იპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესები; ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრების ტიპური დებულება.

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №11 დადგენილებაში.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარეცხვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების უზრუნველსაყოფად.

იმსჯელეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ამბულატორიის) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 აპრილის №გ-17.17.22.101 განკარგულებაში.

მოისმინეს ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი ბორჯომი-2013"-ის დირექტორის *კობა თედიაშვილის* ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ასევე მოისმინეს ა(ა)იპ ბორჯომის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი"-ს უფროსის *ვაჟა გელაშვილის* ანგარიში და ა(ა)იპ „ბორჯომი-გამწვანება 2012" უფროსის *დავით გელაშვილის* ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

დეპუტატებმა დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმა.

27 სექტემბერი - ქართველთა და აფხაზთა დამარცხების დღე!

რაც რედაქციაში ვმუშაობ, ყოველწლიურად ვწერ წერილებს 27 სექტემბერზე - სოხუმის დაცემის დღეზე. ეს იყო ცამეტთვიანი ბრძოლის შემდეგ, მძიმე და ნაღვლიანი წუთი მიძღვნილი ჩვენი გმირულად დაღუპული ბიჭებისადმი... 27 სექტემბერი ჯვართამაღლებაცაა! ვფიქრობ, ჩვენი მთავარი ვალია მომავალ თაობას არ დავავიწყოთ აფხაზეთი და გავაცნოთ ის პატრიოტი გმირები, ვინც საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად შესწირა მშობლიურ მიწას. მე, როგორც მასწავლებელი, აუცილებლად მიმაჩნია ისეთი ქართველის შესახებ ვამცნო ჩემ მოსწავლეებს, როგორიც იყო **ჟიული შარტავა.** ომგამოვლილი ჟურნალისტის ჩანაწერებში ჩვენ ასეთ მოგონებას ვკითხულობთ: ქალბატონი **ლია ჯალალონია-შარტავა** იმ დღეს იხსენებს, როდესაც იგი, მეუღლეს უკანასკნელად დაემშვიდობა. - **„დილის 5 საათი იყო. ყურმილი ავიღე. სოხუმიდან რეკავდნენ. ტელეფონთან ჟიულის სთხოვდნენ. ყურმილი გადავეცი. თან ჟიულის შევეკერადი... ის თანდათან გაფითრდა, სუნთქვა გაუხშირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც საოცარი სიმშვიდით იძლეოდა განკარგულებებს. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა, მგონი ისევ დაიწყო ომი აფხაზეთშიო. სასწრაფოდ ჩაიცვა და წავიდა სახელმწიფო მეთაურთან შესახვედრად. დღის, სამის ნახევარზე დაბრუნდა. 3 საათზე სოხუმში უნდა გაფრენილიყო. მის სამუშაო ოთახში შევედი... უცებ მომიბრუნდა და მითხრა: „ლია, ცხოვრებაში ჩვენ ბევრი განსაცდელი გამოგვიცდია და ახლა ესეც უნდა ვნახოთ. უკვე ვიცოდი, რომ სოხუმი იბომბებოდა. ოთახიდან გავედით. კართან ერთმანეთს დავემშვიდობეთ. გასვლის წინ მითხრა: „ჩემი საბუთები და ფოტოები დიპლომატშია. თუ რამე მოხდა, ღირსეულად მიტირეთ. ჟიული შარტავა მოახლოვებულ აღსასრულს არა მარტო გრძნობდა, არამედ, როგორც მწერალი ჯემალ აჯიაშვილი იტყვის, „ამ ნაბიჯისთვის იგი მთელი თავისი ცხოვრება ემზადებოდა. არ შეიძლება ცხოვრების წესი, ჩვეულებები, ხასიათი, შეწირვისთვის მზადყოფნა ერთ დღეში დაიბადოს და ჩამოყალიბდეს", საბედისწერო ნაბიჯი იყო? ამას ვერ ვიტყვი. ჟიული თავისი არსით, ცხოვრებით, ერის დიდებულ წარსულს იყო შეძერწილი და... მოიქცა ისე, როგორც მის ძირსა და გენს ეკადრებოდა. ამ გზისკენ დიდი წვალებით, შრომით, ტრაგიზმით მიდიოდა.** ჟიული შარტავას ჩანაწერებიდან ვიგებთ: **„თუ ამ ვაჟკანალიას გადავურჩი, ჩემი თაობა თავის ადგილს დიაკავებს ქვეყნის გადარჩენის საქმეში, ხოლო თუ ეს ვერ შევძელი, იმას მაინც გავაკეთებ, რომ ყველა თქვენგანს, ამაყად სიარული შეეძლოს".** თაობის სათქმელი თქვენ თქვით, ბატონო ჟიული, ღალატით გაწირულმა, საკუთარი სიცოცხლის ფასად. თქვენ ზიდეთ ჯვარი, უშიშრად და შეუპოვრად... ეშაფოტისკენ ქალაქის მერთან **გურამ გაბესკირიასთან,** დაცვის ბიჭებთან, ავღანელებთან და მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად. **რატომ არ დევს დღემდე პასუხები თუ ვინ და... რატომ გაწირეს ჟიული შარტავა?! რატომ არ გაუშვეს მაშველი ძალა მინისტრთა საბჭომდე მის გამოსახსნელად?! ამაყად აფხაზეთის ომის მოგებული ბრძოლების მეომრები დაიარებიან მხოლოდ: 15-16 მარტის, ტამიშთან, შრომასთან ნაომარი ბიჭები.**

ომი? - ხელისუფლების მარცხი იყო, მისი არასწორი პოლიტიკის გამო.

27 სექტემბერი ქართველი და აფხაზი ხალხის დამარცხების დღეა. დიდება გმირებს. დიდება საქართველოს! ჯვართამაღლების ძალა გვფარავდეს!

მასალა მოიძია
მონიკა ჟანტურიამ

ბაკურიანი ახალი სკოლის შენობის მოლოდინში

15 სექტემბერს ბაკურიანელი მოსწავლეები და პედაგოგები უჩვეულო გარემოში შეხვდნენ. ბაკურიანის სკოლის დემონტაჟისა და ახალი პროექტის განხორციელების დაწყების პროცესში სწავლა ალტერნატიულ ფართში, სამშენებლო კომპანია „არქტურის" შენობაში განახლდა. ეს დღე ბაკურიანელ ბავშვებსა და სკოლის კოლექტივს რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **იზოლდა ლომიძემ** პირადად მიულოცა.

- „მოგესალმებით! ყველანი ძალიან ლამაზები ხართ. ნამდვილად არ მიკვირს ბავშვების სილამაზე, მაგრამ დღეს განსაკუთრებით გამოირჩევით. ასეთი ლამაზი და მზიანი დღის ფონზე მინდა წარმატებული ახალი სასწავლო წელი გისურვოთ და ძალიან მალე ახალ და ლამაზ სკოლაში გაგეგრძელებინოთ სწავლა! ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ ბაკურიანს ჰქონოდა ახალი, თანამედროვე სტანდარტებით აგებული 500 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლა. ამას წინ უძღოდა დიდი შრომა, დიდი ბრძოლა რომ აქამდე მოვსულიყავით. დიდი ბრძოლა დაგვჭირდა იმისათვის, რომ თქვენ ღირსეულ გარემოში გაგეგრძელებინათ სასწავლო პროცესი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა იმ ადამიანის თავდადებას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საქმეში. დიდი როლი შეასრულა განათლების სამინისტრომ, გუბერნატორმა **ბესიკ ამირანაშვილმა** და დეპუტატმა ანტონ **ობოლაშვილმა.**

წარმატებებს ვუსურვებ ჩემს კოლეგებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს. გისურვებთ წინსვლას, ლამაზი და ბედნიერი სასწავლო წელი გქონოდეთ!

ბაკურიანის სკოლის დირექტორმა **თამარ ბლიაძემ** ვრცლად ისაუბრა იმ პერიპეტიებზე, რომლებიც წინ უძღოდა სწავლის დაწყებას.

- დღეს ბედნიერი ვარ. ყველა მხარში დაგვიდგა, მადლობელი ვარ თანადაბელების, ყველა იმ უწყების, რომლებიც დაგვეხმარნენ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **თამარ მახარაშვილმა** პირადად ნახა ჩვენი ალტერნატიული ფართი. აღფრთოვანებული ვარ ამ ქალბატონით - თითოეული დეტალი შეამოწმა, ყველა წვრილმანი დაათვალიერა. ყველა დეპარტამენტი მობილიზებული იყო, რომ ბაკურიანში სწავლის პროცესი დაწყებულიყო დროულად და ნორმალურად.

- მადლობა ბორჯომის მერს **ოთარ არბოლიშვილს,** ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს **ეკა ორჯონიკიძეს,** კომპანია „არქტურს" - ყველა ამ ადამიანის წყალობით დავიწყეთ ჩვენ დღეს სწავლა. რესურსცენტრის ხელმძღვანელთან იზოლდა ლომიძესთან ყოველდღიური კომუნიკაცია გვქონდა. ყველა მხარში გვედგა.

თავდაპირველად ჩვენი სკოლის მხოლოდ ფასადის შეკეთება იგეგმებოდა, თუმცა ყველა ზემოთჩამოთვლილი ადამიანის მეცადინეობით და გულშემატკივრობით გადაწყდა ახალი შენობის აშენება.

რაც შეეხება „არქტურის" ალტერნატიულ შენობას, სადაც ამჟამად ვიმყოფებით - ეს არის სასტუმროს ტიპის შენობა აპარტამენტის ტიპის ოთახებით, ანუ ოთახები საკმაოდ ვრცელია იმისთვის, რომ ერთი კლასი დაეტიოს. გამოყოფილი გვაქვს ცალკე ოთახებიც რომლებსაც საწყობებად ვიყენებთ. მოვაწყეთ კაბინეტებიც. „არქტურმა" მოგვინესრიგა ყველაფერი, დაამატეს გამათბობლები, სველი წერტილები და ა.შ. ინვენტარის გადმოტანასაც ძალიან დიდი დრო და ენერგია დასჭირდა. მადლობა ყველას ვინც დაგვეხმარა.

შენობაში ათი საკლასო ოთახი გვაქვს. აქედან გამომდინარე ორ ცვლაში იქნება სწავლება. გვყავს 17 ფინანსური კლასი და ამიტომ შვიდი კლასი იქნება მეორე ცვლაში. 350-ზე მეტი ბავშვი გვყავს, მზარდია ჩვენი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა და ამიტომაც მოვითხოვეთ 500 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლა, რომელიც სამსართულიანი იქნება, თანამედროვე სტანდარტებით აგებული, სპორტდარბაზით, საშხაპეებით, ახალი ინვენტარით.

გამოცხადებულია ტენდერი და გამარჯვებული სამშენებლო კომპანია დაიწყებს სკოლის დემონტაჟს. 10 მილიონიანი პროექტია და მოიცავს ორ წელიწადს.

დღეს შემოვედით კომფორტულ შენობაში, მაგრამ რადგანაც ის არაა გათვლილი სკოლისთვის, სწავლის მიმდინარეობისას ალბათ გვექნება ხარვეზები, პატარ-პატარა პრობლემები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი სწრაფად მოგვარდება.

ბედნიერი ვარ, რომ ეს მძიმე ტვირთი მოგვეხსნა და სწავლა დავიწყეთ. ორი მანდატური გვყავს. დავხაზავთ შენობის სქემას მიმართულებებით და ისრებით ორიენტაციისთვის. დამრიგებლები მუდამ ფხიზლად იქნებიან, განსაკუთრებით დაბალი კლასის ბავშვებს დასჭირდებათ ყურადღება. მოგეხსენებათ, შენობის პირველ სართულზე მაღაზია „სპარი„ არის განთავსებული. მათაც ვესაუბრეთ ძირითადად ეზოს საკითხზე, სადაც დისტრიბუციის მანქანები ჩერდებიან, თუმცა ეს საკითხიც მოვაგვარეთ, კონუსებით შემოვრაგავთ ტერიტორიას, რომელიც ჩვენთვის იქნება განკუთვნილი. ეზო პატარაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

გვყავს ახალი კადრებიც. დაგვმატა მესამე უცხო ენა, გერმანული და ჭადრაკი. ამ ეტაპზე აღარანაირი პრობლემა არ გვაქვს. სასწავლო წელი დავიწყეთ შემართებით და ენერგიულად! კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს თუ ორგანიზაციას, ვინც გვერდში დაგვიდგა!

რუსუდან სხირტლაძე

მოვლენების კვალდაკვალ

ოთხეული და „ხალხის ძალა“

ამ ოთხეულ თვის წინ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ კი „ქართული ოცნების“ წიალში, უცნაური „გარღვევა“ მოხდა: „ქართული ოცნებიდან“ გამოსვლის შესახებ „სამმა მუშკეტერმა“ (ასე მონათლა ქართულმა მედიამ) პარლამენტარმა: **– სოზარ სუბარმა, მიხეილ ყაველაშვილმა და დიმიტრი ხუნდაძემ** საჯაროდ განაცხადეს. თანაც დაამატეს: მმართველი პარტიიდან გავდივარო, საპარლამენტო თანამდებობებსაც ვტოვებთ, მაგრამ უმრავლესობაში მაინც ვრჩებით! უმრავლესობაში კი იმიტომ ვრჩებით, რომ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ პრობლემები არ შეექმნას კენჭისყრაში და ხმები არ დააკლდეს(!). გამოსვლის მიზეზიც დაასახელეს: „ქართული ოცნება“ „ვერ ბედავს“ პოლიტიკური კულტურებიდან გამოიტანოს და ქართველ ხალხს სრული სიმართლე ვუთხრათ, რომ საქართველო რუსეთთან ომში არ ჩაითრიონო.

მათ „მიზანში ამოიღეს“ შტატების ელჩი საქართველოში ქალბატონი **კელი დეგანი.** მიხეილ ყაველაშვილმა საჯაროდ (საკმაოდ თავაზიანად) 12-მდე კითხვა დუსვა ელჩს.

წინა წერილში ვწერდით, გამაოგნებელი იყო ელჩის სატელევიზიო გამოსვლა, ეს წერილი (რომელიც პრესაშიც დაიბეჭდა) დეზინფორმაციებით და „რუსული ნარატივებით“ არის სავსე! წერილი ბოლომდე არც წამიკითხიარ(!). რომ იტყვიან, „ამ პირველ ჩვენებას“ „აწვება“ და თითქმის ოთხი თვეა სულ ამას იმეორებს ქალბატონი ელჩი.

ამერიკის დეპარტამენტის პრესსპიკერმა და მთელმა რიგმა კონგრესმენებმა ელჩისადმი დასმული სრულიად ლეგიტიმური კითხვები **„ამერიკაზე თავდასხმად“ გამოაცხადეს,** ფაქტიურად თითი დაგვიქნეს და დაგვმუქრნენ. ქართველმა ანალიტიკოსებმა ამის შემდეგ ვაშინგტონის თეთრი სახლი „ვაშინგტონის კრემლად“ მონათლეს! (სამართლიანადაც! უჯ.).

„სამ მუშკეტერს“ ერთ თვეში დაემატა პარლამენტარი **გურამ მაჭარაშვილი.** ოთხეული არ ისვენებს და ელჩისაგან კვლავ მოითხოვს კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტულ პასუხებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, – ელჩი მათ აინუშინაც არ აგდებს!

ოთხეულმა დააფუძნა **სახალხო მოძრაობა „ხალხის ძალა“** – ჩვენს სიმართლეში ხალხი მასობრივად მხარს დაგვიჭერს და ამით საქართველო აიცილებს ომში ჩაბმასო.

რა პოზიცია დაიკავა საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა ამ „ავჯანყებული ოთხეულის“ გამოსვლების მიმართ? პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ბრიუსელში და ამერიკაში წასვლის წინ ტელევიზიით განაცხადა: – ოთხეულის წინადადებები მართალია, ლეგიტიმურია, მაგრამ მაინც სჯობს, შეაჩერონ თავისი მოღვაწეობა და „ნადირობას მორჩნენო“(!). ამაზე სულ „გაწონმატდა“ „ოთხი მუშკეტერი“: მოღვაწეობას ახლა კი არ ფიქრობენ, ნადირობენ! ეს ასეა, ოთხეულმა ეს ფასი ადგა ოთხეულის ლიდერ **ალეკო ელისაშვილს** – ოთხეულის ერთ-ერთ ლიდერ **ალეკო ელისაშვილს** ბრალი **ედუარდ ბოკერიას** ბინაზე ალყის, ბინის ბოიკოტის, ბინის ბლოკადის, ბინის ალყაში ჩაგდების, ბინის ალყაში ამოღების, ბინის ალყაში ამოღებულ ბინაში ალყაში ჩაგდების, ბინის ალყაში ამოღებულ ბინაში ალყაში ჩაგდებულ ბინაში ალყაში ამოღების, ბინის ალყაში ამოღებულ ბინაში ალყაში ჩაგდებულ ბინაში ალყაში ამოღებულ ბინაში ალყაში ჩაგდ

მარბინდოგა ქართულად

რუსეთ-უკრაინის ომის გამო საკმაოდ ბევრი რუსი და უკრაინელი შემოდის ყოველდღიურად საქართველოში. განსაკუთრებით კი ძირითადად ტურისტულ ქალაქებსა და სხვადასხვა საინტერესო ადგილებს სტუმრობენ, სადაც უძრავი ქონების შეძენა-გადაფორმებაზეც არ ამბობენ უარს.

აი ასე, სრულიად მარტივად ხდებიან რუსები ჩვენს ქვეყანაში უძრავი ქონების მფლობელები. ბორჯომშიც არა ერთ რუსულენოვან მოქალაქეს შეხვდებით, მითუმეტეს, ზაფხულის სეზონზე და არც მათი სამანქანო ნიშნები არ დაგრჩებათ შეუმჩნეველი. საინტერესოა, რას ფიქრობენ მოქალაქეები რუსი ტურისტების ასე უკონტროლოდ, უვიზოდ შემოსვლაზე, გამოკითხვა ქუჩაში ჩავატარეთ.

ნინო ბერიძე: – რას ვფიქრობ და კარგს არაფერს. ისე ცუდად მომხვდა ყურში 8 აგვისტოს, ზუსტად აგვისტოს ომის 14 წლისთავზე ქალაქის ცენტრში რამდენიმე რუსულად მოსაუბრე ადამიანის საუბარი, რომ ვერ აღვწერ. ბოღმა მახრჩობდა, მთელი ძალით მინდოდა მეყვირა, მოშორდით ჩემი ქალაქიდან და ჩემი ქვეყნიდან თქო. ვერ შევეგუები მათ აქ ყოფნას, მაგრამ სახელმწიფოს ბრალია, ასე რომ ათარეშებენ ოკუპანტებს.

მარიკა ხელისუფალი: – ბორჯომში 5 დღეა ჩამოვედი და ქუჩაში ძალიან ბევრი რუსულენოვანი ადამიანი მხვდება. ადრეც იყვნენ წლების წინ, მაგრამ უკვე აგვისტოს ომის და ახლა კიდევ უკრაინის ომის შემდგომ ძალიან ვღიზიანდები მათ დანახვაზე. ლამის ჭკუიდან შევიშალო, გავიგე, რომ უკვე ბევრი ადგილი რუსებზეა გასხვისებული. აი, როცა ერთიანად ყველა ერთ ჭკუაზე იქნება, რომ არ უნდა მიაქირაო ბინა და მითუმეტეს არ უნდა მიყიდო, ისწავლიან ჭკუას და აღარ ივლიან ისე, როგორც საკუთარ ქვეყანაში.

მაია ბლიაძე: – მე პირადად იმას ვფიქრობ, რომ როდესაც შენ საკუთარი საქმე გაქვს და შემოსავლის წყარო მხოლოდ ტურისტები არიან, სასტუმროებზე მაქვს საუბარი, რუსი ტურისტებიც უნდა მიიღო. თუკი სახელმწიფოც სხვა ალტერნატივას არ გთავაზობს. რუსებს, რაც ბევრ ფულს დავახარჯინებთ, ის იქნება ჩვენთვის უკეთესი.

მარუსა სიმონიანი: – ძალიან დიდ პატივს ვცემ ქართველ ხალხს და ბორჯომში ყოველ წელს ჩამოვდივარ. მე პირადად რუსულადაც მშობლიურივით ვსაუბრობ და რუსეთშიც ხშირად მიწევს წასვლა, თუმცა, უკრაინის ომის მერე, აქ ამდენი რუსი რომ დავინახე, იმ ფონზე მითუმეტეს, როცა აგვისტოს ომიც რუსეთის მხრიდან იყო განხორციელებული საქართველოს მიმართ და ასე უბრალოდ, მარტივად შემოდიან და თანაც საკუთრებაშიც იმტკიცებენ ქონებას, სიმართლე რომ გითხრათ, გამიკვირდა. ამ პრობლემას მარტო მოსახლეობა არ წყვეტს. სახელმწიფოს აქვს ასე გამარტივებული მათთვის შემოსვლა და მოსახლეობა ვერაფერსაც ვერ იზამს.

ხათუნა გრიგალაშვილი: – რამდენიმე დღის წინ საინფორმაციოში ვუყურე, რომ რუსეთისა და ბელორუსის მოქალაქეებმა კვარაცხელიების ოჯახს თბილისში ბინა ჩამოართვეს, უკანონოდ გადაიფორმეს და ბინადრობის უფლება მოიპოვესო, ახლა იუსტიციის სახლში და სასამართლოში ჩივიან, მაგრამ ჯერ ვერაფერს გახდნენო. შენ ქვეყანაში, შენივე სახლში, რომ შენ საკუთრებას წაგართმევენ, რაღაზეა საუბარი? აი ის გამოთქმა მახსენდება: - „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო“.

თამაზ აბრამაშვილი: – მე პირადად, საოჯახო ტიპის სასტუმრო მაქვს და რუსებზე არ ვაქირავებ. მაგათ არ ვათარეშებ ახლა ჩემ კარ-მიდამოზე, სულ მაგის ჭკუაზე ვარ ახლა. ჯვარის რამდენიმე მეგობარი მყავს რუსი და წლების მანძილზე ვკონტაქტობდი, საერთოდ აღარ ვურთიერთობ მათთან ამ ბოლო პერიოდში. ბილაინის ქსელი მქონდა, ისიც კი გამოვცვალე.

ნათია ზოიძე: – ქუთაისიდან ვარ და იქაც ბევრი რუსი მხვდება. ბორჯომშიც ბევრი არიან. რამდენიმე კვირის წინ ზღვაზე ვიყავი და იქაც უკვე ბევრი საუბრობს რუსულ ენაზე. ნებისმიერი სახის განცხადება, ბინის გაქირავება, კვების ობიექტებში მენიუ თუ პროდუქტების დასახელება, ყველგან რუსულ წარწერებს შეხვდებით. სიმღერებიც რუსული ისმის, აი ასე, დაუფარავად. ფაქტიურად, რუსული ენის პროპაგანდა-აგიტაციაა. ბორჯომი ზოგადად რომანოვების სახელს ოდითგანვე უკავშირდებოდა და აქ ბევრი რუსი დამსვენებელი მახსოვს ადრეც, მაგრამ ახლა, რატომღაც მე პირადად მათ მიმართ ძალიან დიდ ნეგატივს ვგრძნობ. ვცდილობ, არც კი გამოველაპარაკო. ნამდვილად არ არის ჩემთვის სასიამოვნო იმ ქვეყნის მოქალაქეებს ვუყურო, რომელთა სახელმწიფოსაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს.

ნიცა რობაქიძე: – სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ საკმაოდ არასასიამოვნო ინფორმაცია ამოვიკითხე. ქალბატონი დახმარებას სთხოვდა შესაბამის ორგანოებს, რადგანაც რამდენიმე თვის წინ მან რუს მოქალაქეებს 600 დოლარად მიაქირავა ბინა, ახლა კი აღარც ქირას უხდიან და აღარც ბინას ცლიან თურმე. სიმართლე გითხრათ, ეს ქალი არც შემცოდებია და აგიხსნით რატომაც. ახლობელი სტუდენტი მყავდა და როდესაც მასიურად შემოვიდნენ რუსები, საწყალ ბავშვს, სულ რაღაც ორი თვე ქონდა დარჩენილი სწავლის დასრულებამდე და აი, სწორედ მისნაირმა ქართველმა ქირა გაუზარდა, რომ ვიღაც რუსებისთვის მიექირავებინა. ახლა ეძიოს სამართალი.

იზაბელა სუთიძე: – ჩემი აზრით არ შეიძლება მთელი რუსეთი და რუსები ერთ ქვაბში მოვხარშოთ. რამდენი ქართველი ყოფილა რეალურად შიდა არეულობის მოთავე? რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი და ეს ყველაფერი ჩვენ ქართველებმა ძალიანაც კარგად ვიცით. აი, დღეს რომ მსოფლიო დონის ლიტერატურის კლასიკოსებს ვკითხულობთ სიამაყით და მათი შემოქმედება ბევრმა ზეპირადაც კი იცის, ისინი ვინ არიან? რა თქმა უნდა, რუსები. არ შეიძლება ასე მასიურად განაწყენდე მთელ ერზე, რომელსაც სიკეთეც ბევრი უკეთებია ჩვენი ქვეყნისთვის. მე ასე ვფიქრობ და ბოდიში, თუ ვინმე ჩემ აზრს არ ეთანხმება. ეს ჩემი პირადი აზრია, ისევე, როგორც სხვას გააჩნია საკუთარი.

P.S. სიმართლე რომ ვთქვათ, ზემოთ აღნიშნულ საკითხში, არა რიგითი მოქალაქეები არიან, არამედ თავად სახელმწიფოა დამნაშავე, რომელიც თვითონვე სთავაზობს ქვეყნის მოქალაქეებს თამაშის წესებს. სწორედ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი მექანიზმი და ბერკეტი უნდა არსებობდეს, რომ იმ ქვეყანაში, რომლის 20%-იც რუსეთის სახელმწიფოს მიერაა ოკუპირებული ასე დაუფარავად, უკონტროლოდ არ უნდა დათარეშობდნენ ოკუპანტი ქვეყნის მოქალაქეები.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

არდავიწყება მოყვრისა – ვიხსენებთ ჯემალ ზეინკლიშვილს

„ოქროს ბიჭისა“ და მხატვრული სტვენის ღიღოსტატი

მკითხველთან საუბარი 65 წლის წინ მომხდარი ამბის გახსენებით მსურს დავიწყო. შეიძლება მავანმა მითხრას: რა დროს ძველი ამბების გახსენებაა, თაობები წამოიზარდნენ და მათ შენი ძველი ამბის მოყოლით როგორ დააინტერესებო, მაგრამ როცა განსაკუთრებით ფეხბურთის მოყვარულ ადამიანებს გარდასული ამბის შესახებ უყვები, მითუმეტეს ისეთ კოლორიტულ ფეხბურთელსა და პიროვნებაზე, როგორიც იყო „ოქროს ბიჭი“, ჯემალ ზეინკლიშვილი, ინტერესი ათკეცდება.

ახალი თაობის სპორტის მოყვარულებს არ უნახავთ მინდორზე დაუცხრომელი ჯემალ ზეინკლიშვილი, მაგრამ იციან, რომ ის „ტაშკენტის გმირი“, „ოქროს ბიჭი“ და 1964 წლის ტაშკენტური დიდი გამარჯვების ფავორიტთაგანია. მაგრამ ყველამ როდი შეიძლება იცოდეს, გარდა ფეხბურთისა, როგორი ნიჭიერი იყო სტვენაში. ძველი თაობის ფეხბურთის მოყვარულებსა და მის ახლობლებს ემახსოვრებათ, თუ რაოდენ ოსტატურად უსტვენდა ჯემალი, ის „მხატვრული სტვენის“ ნამდვილი ჯადოქარი იყო.

ჯემალი 1956 წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის პირველ კურსზე. ჩვენ თანაკურსელები გავხდით. სტუდენტობის პირველი თვე გავატარეთ მუხრანის მეურნეობის სასწავლო ბაზაზე.

ჯემალი მეტად გულკეთილი და ხალისიანი ახალგაზრდა აღმოჩნდა. ხუმრობა-ოხუნჯობა ბუნებრივად და ლამაზად გამოსდიოდა. რას არ მოიგონებდა ხოლმე მისი მკვირცხლი და გამჭრიახი გონება. პირველივე დღიდან გაგვაკვირვა თავისი ბუნებრივი მონაცემებით. პრაქტიკული მეცადინეობების შემდეგ ფეხბურთის მოედანზე ვიკრიბებოდით. ჯემალი სასწაულებს გვიტარებდა. ერთი ბიჭი თერთმეტ ბიჭს გვიგებდა. მისგან შევიტყვეთ, რომ ფეხბურთის თამაში ბორჯომში უსწავლია. აქვე გაგვაოცა ჯემალმა თავისი მხატვრული სტვენის უნარით. მის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან „დინამოს“ შემადგენლობაში ჩარიცხვისთანავე დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და რამდენიმე წლის განმავლობაში სტაბილურ ფეხბურთელად ითვლებოდა.

ჯემალ ზეინკლიშვილის ცხოვრებასა და სპორტულ წარმატებებზე მკითხველს კარგად მოუთხრობს ბატონ დემიკო ლოლაძის მიერ შესანიშნავად შედგენილი და 2019 წელს გამოცემული წიგნი. ვფიქრობთ, წინამდებარე წერილი ერთგვარად შეავსებს წიგნში შეკრებილ ბიოგრაფიული ხასიათის მასალებს და მკითხველს უფრო თვალნათლივ წარმოუჩენს ჯემალს, როგორც მხატვრული სტვენის ფართო შესაძლებლობების მქონე ოსტატს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სტუდენტები ვმართავდით ხოლმე კონცერტებს. ჯემალ ზეინკლიშვილის მხატვრული სტვენის, გოგი გუგუშვილისა და ოთარ რამიშვილის გიტარის თანხლებით შესრულებულ სიმღერებს ოვაციებით ხვდებოდა მაყურებელი.

ჯემალი მეტად მხიარული და ხუმარა ბიჭი იყო. წარმოიდგინეთ, სტვენის დროსაც კი ხუმრობდა. როგორ? მეგობრებს აგვიხსნა სტვენით ლაპარაკის ნიუანსები. ჭიკჭიკისას ბგერებს მუსიკალურად გამოთქვამდა ზედმიწევნით მიმსგავსებით. ჩვენ ვიცოდით, თუ რომელ სიტყვას რომელი მუსიკალური ჩახვევებით წარმოთქვამდა და გულიანად ვიცინოდით ხოლმე. კონცერტზე გამოსვლისას დარბაზს სტვენით ელაპარაკებოდა და განსაკუთრებულად მიაჭიკჭიკებდა დარბაზის ნინა რიგში მსხდომ რექტორატის წევრებსა და ლექტორებს, სათითაოდ წაუჭიკჭიკებდა ხოლმე. ამ დროს დარბაზს მხიარული ტალღა გადაევლებოდა, მაგრამ ვერავინ ხვდებოდა თუ რას გამოხატავდა სტვენით გამოწვეული მუსიკალური ბგერები, ამას მხოლოდ ჩვენ, მისი მეგობრები ვხვდებოდით და სიცილით ვიგუდებოდით.

ერთხელ ჯემალმა მითხრა, რეჟისორი ჯემალ ანჯაფარიძე ტელევიზიაში მიწვევს, გამოდი და დაუსტვინეო. მე მოვუწონე შემოთავაზება და შევთავაზე იდეა: შევიძინოთ ჩიტი, მე და თენგიზ ბერიძე (ჩემი თანაკლასელი) გიტარაზე დავამღერებთ „ჩემო ჩიტუნიას“, შენ კი ხელის გულზე გესვამ ჩიტი და უგალობე-მეთქი. ეს იდეა მოიწონა ჯემალ ანჯაფარიძემ. გმირთა მოედანზე მდებარე ზოომაღაზიაში შევიძინეთ ერთი პატარა მომწვანო-მოყვითალოდ შეფერილი ღაბუა ჩიტი. რომ არ გაგვფრენოდა ჯემალმა ძაფი შეაბა ჩიტს ფეხზე და შუა თითზე მიიმაგრა. ხელის გულზე ესვა, თან ეფერებოდა და ჭიკჭიკებდა. დღის ოთხი საათი იქნებოდა, ცხელოდა. არ ვიცი ჯემალმა და ჩიტმა თუ გაუგეს ერთმანეთს, ერთი კი ცხადი იყო, ჩიტი უჩვეულო გარემოში აღმოჩნდა, მოუსვენრად ფართხალებდა.

საქართველოს ტელევიზია ახალდაარსებული იყო და მცირე ფართობი ეკავა. რედაქციას მეტად მწირი ტექნიკური აღჭურვილობა ჰქონდა და გადაცემები საღამოობით, პირდაპირ ეთერით იმართებოდა. დათქმულ დროზე ვეწვიეთ ტელესტუდიას გიტარით და ჩიტით ხელში. შევხვდით ჯემალ ანჯაფარიძეს, რომელმაც დაგვაკვალიანა თუ როგორ წარიმართებოდა გადაცემა. მე და თენგიზი ვიწყებდით „ჩემო ჩიტუნიას“ და ამ დროს კადრში შემოდიოდა ჯემალი სტვენა-სტვენით ხელისგულზე მჯდარ ჩიტთან ერთად. ცოტა არ იყოს ჩიტი რაღაცნაირად უხალისოდ და მოწყენილი მეჩვენა. საცოდავი ფრინველი ალბათ ერთგვარ სტრესში იმყოფებოდა, ძლიერმა განათებამ, სიმღერამ და ჯემალის ძლიერმა სტვენამ მასზე ალბათ სტრესული ზეგავლენა მოახდინა.

მთელი გულისყურითა და ღიმილიანი მზერით ჩიტს შევცქეროდით. ჯემალს ხელის მტევანი სახესთან ახლოს ეკავა და ჩიტს მრავალფეროვანი ვარიაციებით ჩასჭიკჭიკებდა. სიმღერა ახალი დაწყებული გვქონდა, როცა შევამჩნიე, რომ ჩიტი მოდუნდა, თავს ვეღარ იმაგრებდა, ჯემალი ცდილობდა გამოეცოცხლებინა ჩიტი და დროდადრო თითს შემოკრავდა ხოლმე, რომ ჩიტი აფრთხალებულიყო, მაგრამ ამაოდ, მალე შევამჩნიე როგორ სცვიოდა ბუმბული პაწია ჩიტს და ჰაერში იფანტებოდა. სანამ სიმღერას გავასრულებდით, მომცრო სტუდიის სივრცე მოფარფატე ბუმბულებით გაივსო. დავასრულეთ თუ არა ჭიკჭიკი და სიმღერა საცოდავმა ფრინველმა სული განუტევა. სანახაობრივად და მოსასმენად გადაცემა საინტერესო გამოდგა, მაგრამ ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული ჩიტის აღსასრულმა. შემდგომში ხშირად ვიგონებდით, თუ როგორ შეეწირა ჯემალის ხელოვნებას ერთი ლამაზი, უმწეო ჩიტის სიცოცხლე.

ხშირად მიფიქრია, რა იქნებოდა ჯემალი მხატვრულ სტვენას რომ გაჰყოლოდა. დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებასაც მიაღწევდა და მხატვრული სტვენის სკოლასაც შექმნდა. ჯემალი სტუდენტობაში უკვე მხატვრული სტვენის ნამდვილი ოსტატი იყო. დარწმუნებული ვარ, ჯემალ ზეინკლიშვილი ჩვენში მხატვრული სტვენის ტრადიციის მესაძირკვლე იქნებოდა. ჩემთვის უცნობია, თუ ვინ ასწავლა ჯემალს ბავშობაში სტვენა. ბორჯომის ხეობა, სადაც დაიბადა და აღიზარდა ჯემალი, ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჯემალის მრავალმხრივ ნიჭერებას თუ გავითვალისწინებთ, უფრო მეტად დავიჯერებდით იმ აზრს, რომ მასწავლებელი სწორედ ბუნება იყო თავისი მოჭიკჭიკე-მგალობელი ფრინველებით. შემოქმედებით ნიჭიერება ხომ ჯემალს გენეტიკურად ოჯახიდან მოსდგამდა. გავიხსენოთ, მამა - ვასო ზეინკლიშვილი, დედა - გოგუცა მაჩიტაძე, რომელიც კარგად მღეროდა, ძმა თენგიზ ზეინკლიშვილი, ჩინებული ბარიტონი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი და ძმისშვილი კომპოზიტორი ნათია ზეინკლიშვილი.

ჯემალ ზეინკლიშვილს ხალხმა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ზედმეტსახელად „სვისტუნა“, ანუ „სტვენია“ შეარქვა, თუმცა ეს გამოთქმა სრულებით არ შეეფერება ჯემალის მხატვრული სტვენის ოსტატობის მაღალ დონეს. ამგვარი დონის მიღწევა მხოლოდ დიდი შემოქმედებით პოტენციის მქონე ადამიანს თუ ძალუძლს. სწორედ ამგვარი კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნებოდა ჯემალ ზეინკლიშვილი, რომელსაც მიმდინარე წელს დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა.

თეიმურაზ ღლონტი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტუმრად ბორჯომში

ვუძღვნი სიმბოლური მინიშნებით, ბორჯომში მგზავრის მარჯვენა სანაპიროსაკენ - გრიგოლ რობაქიძის ქუჩაზე შესვლისას - უფროს ლეონტინურ ქალბატონს.

ლილა გათენდა საუფლო,
ქალი შემომხვდა ხნიერი,
ნამდვილი ბორჯომელი
და, არა გადამთიელი.
ის იყო - ქალი ქადაგი -
ქვეყნის და ხალხის მლოცველი,
ღრმა შემხვდა... სითბო მაჩუქა -
ქვეყნიერების მომცველი.
მეკითხე: თვალნი ებადრა -
მსგავსი „მხათობთა სხივისა“,
მაღლიდან ცა გვიღიმოდა
ლილის ამგვარის ხილვისას.
- როგორ ხარ? გული გამიხსნა,
როგორც მოყვარემ - მოყვრისა,
ან შენი დედა როგორა?
მკითხა: სხვადასხვა რამისაც.
უმალ, ნაღველმა გამკენწლა,
სადღა მყავს დედა, ჭირიმე.
წამსვე სხვა სიტყვა ვიშველე,
კარგად ვართ, ჩავულიმილე.
მესახა: სანთლად იწვოდა,
ღლისა და ღამის ელოცა, -
მეც ავყევი და ის არეც,
ზედ სამკაულად გვემოსა!
უცნობისაგან მოკითხვა,
ვირწმუნე „თითქოს“ ნაცნობმა -
ხანდაზმულისგან ფერება
ჩაეთვალე „ბავშვურ ანცობად“.
ერთმანეთს დიხჯად ვუჭვრეტდით
„სითბოთი“ დამშვენებული,
თითქოს გვიცქერდა მე-მთვარით
მიწაზე დავანებული.
იგი წავიდა თავის გზით -
მეც კი ჩემი გზით ვმდინარებ,
ღმერთო! უშვილე სამშობლოს
სად ვნახავთ ასეთ სიამეს!
იმ ღლის ხილვებიც წამიღებს
რწმენითა - ხშირად ზეცამდე,
რომ ჩვენს შეხვედრას -
იმ ღლის, ცით ანგელოზი
ძერწავდნენ.

მადლობა!!! მე აქ 1973 წლიდან დავდივარ და უნდა ვაღიარო, ბორჯომმა შემინარჩუნა სიცოცხლე!!!

იამზე არველაძე,
პუტა ბრაზილიელ გრეულ რობჟის საზოგადოების თავმჯდომარე
1-14 ივლისი 2022 წელი.

შემოქმედი ქალბატონი

ბისერებით შექმნილი ხატების გამოფენა

ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა საოცარ გამოფენას უმასპინძლა. გამოფენაზე ქალბატონ გულო ჯავახიძის ხატებისა და ყვავილების თემატიკაზე ბისერებით შექმნილი ნამუშევრები გახლდათ წარმოდგენილი.

ქალბატონი გულო წლების მანძილზე ქმნიდა სამოსს, მუშაობდა სამკერავლო ატელიეში და პროფტექნიკურ სასწავლებელში ახალგაზრდებს ასწავლიდა ჭრა-კერვას. მასთან სამოსს ბევრი ბორჯომელი ქალბატონი იკერავდა. მის მიერაა შექმნილი რაიონში მოღვაწე სასულიერო პირთა სამოსიც. ხელოვანმა ქალბატონმა ნამუშევრების შექმნა 2019 წლიდან დაიწყო. მისი პირველი ნამუშევარი ყრმა ქრისტე და წმინდა ნიკოლოზი გახლდათ. როგორც ის ამბობს, სულ პირველად უბრალოდ მოსინჯა თუ როგორ გამოუვიდოდა ნამუშევრის შექმნა, თუმცა მას შემდეგ აღარ შეჩერებულა და აგერ უკვე სამი წელია აღნიშნული ხელსაქმითაა დაკავებული. როგორც მან აღნიშნა, მას ნამდვილად არ ჰქონია სურვილი, რომ მასშტაბური გამოფენა მოეწყო. აღნიშნული გამოფენის ინიციატორი ქალბატონი **ვიოლეტა ბალახაშვილი** გახლავთ, რომელიც იმდენად აღფრთოვანებული დარჩა შემოქმედის ნამუშევრებით, რომ დაჟინებული თხოვნითა და მიტროპოლიტი დანიელის ლოცვა-კურთხევითა და მამა იოანეს გვერდში დგომით გამოფენა მოეწყო. ქალბატონი გულო ნამუშევრებს სპეციალური სქემის მიხედვით ქმნის. ამბობს, რომ ნამუშევრის შექმნისას აუცილებელია სრული სიზუსტე, ფერთა პალიტრა, რომელიც ზუსტ განლაგებას საჭიროებს. გარდა სტანდარტული მსხვილი ზომის მძივებისა, ნამუშევრები დიდი ზომის თვლებითაც შექმნა. გამოფენაზე ქალბატონი გულოს შესახებ ისაუბრა ქალბატონმა **ვიოლეტა ბალახაშვილმა.** მამა იოანემ გაიხსენა ქალბატონ გულოსთან პირველი შეხვედრა, როდესაც ის პირველად მოვიდა ეპარქიაში სამოღვაწეოდ. საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა **დალი ბანცაძემ**. სტომატოლოგმა **როზა გალუსტიანმა** შემოქმედ ქალბატონთან მისი ბავშვობისდროინდელი მოგონებები გაიხსენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის საზოგადოების წარმომადგენლები, ქალბატონ გულოს ოჯახის წევრები, მეგობრები, სასულიერო პირები და მრევლის წევრები.

ნატო მელიძიძე

სურათზე: მარჯვნიდან გულო ჯავახიძე და კულტურის სენტრის დირექტორი გაიოზ ღვალიშვილი

წიგნის თარო

საგალობელი სიცოცხლეს

რამდენიმე თვეა, რაც თანამედროვე ქართველ პოეტთა ლექსების კრებულს შეემატა ახალგაზრდა, უნიჭიერესი ბორჯომელი პოეტის, ნათია ჯიქურაშვილის ლექსების კრებული სახელწოდებით: *„ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან მიგიშვი“*. ნათია ჯიქურაშვილი წლების მანძილზე მოღვაწეობდა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციაში. ის ადრეული სკოლის პერიოდიდან თანამშრომლობდა გაზეთთან. რამდენიმე წლის მანძილზე კორესპონდენტი, ხოლო შემდგომ რედაქტორის მოადგილეც გახლდათ.

პოეტური კრებულის ყდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ *ალექსანდრე ციხელაშვილს*, დაკაბადონება *თამარ ქავჟარაძეს*, ხოლო რედაქტორი გახლავთ *დავით დოლუაშვილი*.

საოცარი წინათქმა ახლავს პოეტურ კრებულს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ მკითხველებს:

„და მაინც რა არის ლექსი-რითმათა ერთობლიობა, სტრიქონთა ჩარჩოებში მოქცევა, შემასმენლისა და ქვემდებარის გარითმვა. მეტაფორათა ნაირსახეობა თუ მართლაც „სულში გაჩენილი ბზარების“ ლამაზ სიტყვებად ამოთქმა?!

ბოლო დროს გადავეჩვიე ამა თუ იმ ავტორთა შემოქმედებაში მათი ლექსების სინტაქსურ-ლექსიკური მხარეების გარჩევას. იმდენად ღრმა ემოცია, იმდენად შინაგანი წვაა სულისა ამ ლექსებში, რომ დოგმად ქცეული, კოხტად შეკვარახჭინებული სტროფები მათზე ნაკლებ განცდებს მიტოვებს...

რაღა თქმა უნდა, ვაღიარებ ლექსის გამართულობას, მის ფორმათა და ტექნიკურ მხარეთა აუცილებლობას, რადგან პოეზია მაინც უმაღლესი მატერიალური და სულიერი ფორმაა კოსმიური სამყორისი.

... და მაინც, ლექსი არის ერთი ადამიანის სულის ფორიაქი, მისი განცდებისა და ემოციების კაზმვით გადმოცემა, რომელიც ჩაგაფიქრებს, რაღაც შენეულს დაგანახებს, საკუთარ სულსა და სხეულში გაბორიალებს.

ნათია ჯიქურაშვილის ლექსებშიც ეს ემოციაა, არა მარტო თვისობრივი და საკუთარი განცდებით გამოწვეული, არამედ ზოგადსაკაცობრიო და ყოფის მარადიული ტკივილებით გამოხატული!..

მინდა გზა დავულოცო მის წიგნს, დავლოცო მისი კალამი, მისი ლექსები, რომლებიც ძალიან დიდი შრომისა და სისხლის ფასად იწერება, რომლებშიც აუცილებლად აღმოაჩენს მკითხველი საკუთარ თავს და საფიქრალს“ - წერს ჯუბა ღებელი.

გთავაზობთ ნათია ჯიქურაშვილის ლექსს წიგნიდან.

-

ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან
მიგიშვი,
ტკივილი გულიდან პეშვებით ამოგაქვს,
ხანდახან უფერო დღეებით ვინთქმები,
ამას გრძნობ და სულში იები ამოგყავს.
ვერ ვარქვი ამ გრძნობას ვერარა
სახელი,
სათუთი, სულსავსე დღეებით ვინთები,
უსიტყვო განცდებთან ტკბილ მზერას
აგებ
და მაგ დროს რარიგად ზედმეტობს
სიტყვებიც.
ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან
მიგიშვი,
ტკივილი გულიდან პეშვებით
ამოგაქვს,
ხანდახან როდესაც მრუმეა დღეები,
ღრუბლიდან ბრღვიალა ცხრათვალა
გამოგყავს.
ჩემს სულში გაჩენილ ბზარებთან
მიგიშვი...

მოამზადა ნატო მელიძიძემ

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2 ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „სააარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №57.

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ტრამპლინიდან ხტომა

ჩვენემუტემი რუმინეთში



რუმინულ რაშნოვში ყოველწლიური შეკრების მსვლელობისას ბაკურიანელი ტრამპლინიდან მხტომელები **ესმა და ალან გობოზოვებმა** FIS-ის ეგიდით გამართულ ორ შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა. როგორც მათი მწვრთნელი **იბრაგიმ გობოზოვი** აღნიშნავს, თითქმის მთელი წელი სერიოზული შეკრების გარეშე დარჩენილმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა კარგი შედეგები აჩვენეს. შეჯიბრის პირველ დღეს ალანმა თავის ასაკში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მეორე დღეს - მეორე. გოგონებში ესმამ პირველი და მესამე ადგილები დაიკავა შესაბამისად.

ბაკურიანელი მწვრთნელი როგორც ყოველთვის იმედით და ენთუზიაზმით სავსეა და ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად შესაძლებლობის ფარგლებში უფრო მეტ აქტიურ ფიზიკურ მომზადებას გეგმავს.

ქართული გენი უკვდავია

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში მოეწყო ქართველი დირიჟორის **რევაზ ტაკიძის** დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო საღამო. ღონისძიების ორგანიზატორი რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი **ნანა ჭიჭინაძე** გახლდათ.

დარბაზი აივსო მეგობრებით, კოლეგებით, მისი ყოფილი მოსწავლეებით, ნაცნობ-უცნობებით. დირიჟორს სახეზე ბედნიერი სხივი უთამაშებდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ოპერის დასის წარმომადგენლები, კონსერვატორიის სტუდენტები, მუსიკათმცოდნე **მანანა ახმეტელი** მათ წარმატებებზე საუბრობდა, ისმოდა ვერდის, პუჩინის, ფალიაშვილის ოპერებიდან არიები. შესცქეროდა წარმატებული მაესტრო ახალგაზრდებს. ეჰ, რამდენი დრო გასულა.

ბადრი მაისურაძე კი წარსულის ფურცლებს შლიდა და მოგონებები უფრო ალამაზებდა საღამოს, როცა 90 წლის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ყოფილმა დირექტორმა **ქაშაკაშვილმა** გაიხსენა თუ როგორ შეაღო კარი **ანზორ ერქომაიშვილმა** მასთან თხოვნით და როგორ შეიქმნა ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც დღესაც დიდი წარმატებით მოღვაწეობს.

- თანამდებობაზე ყოფნისას აუცილებლად უნდა გახსოვდეს - ეს პოზიცია, როგორც მოვიდა, დროთა განმავლობაში ისე წავა. ხელოვნება კი უკვდავია.

ქაშაკაშვილი თვითონ ბრწყინვალედ მღერის... ხმა არ ბერდება.

ზურაბ ანჯაფარიძის თქმით დ. არაყიშვილის რომანსი **„ვარსკვლავიან ღამეს“** ვანო სარაჯიშვილისა და ქაშაკაშვილის რეპერტუარი არისო.

ჟურნალ „ხორნაბუჯის“ რედაქტორმა **გიორგი ნატროშვილმა** თბილი სიტყვებით მიმართა და ჟურნალებით დააჯილდოვა დარბაზში მყოფი საზოგადოება.

თამაზ სილაგაძემ იუბილარს მიულოცა და ჯანმრთელობა უსურვა. დარბაზს გადაეცა რეზო ამაშუკელის ლექსების კრებული, ხოლო უნივერსიტეტის პროფესორმა **ნათელა ვაჩნაძემ** თავის სიტყვით გამოსვლისას ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ქართული გენი უკუდავია.

დალი ქურდაძე

SOS კარგის ამშენებელსაო...

ამ ორიოდე წლის წინათ გაზეთი „ბორჯომის“ ფურცლებზე დაიწერა კაცის შესახებ, რომელიც მოწადინებულია საკუთარი სახლის გარეთაც მიმოიხედოს და კეთილმოაწყოს მიმდებარე ქუჩა. ბატონი **თამაზი არბოლიშვილი** წაღვერის მკვიდრია. მას ხელწიფება და პირველ რიგში, დიდ სამოვნებას გვრის, როცა მუშაობს სხვადასხვა სკულპტურებზე, საყვავილეებზე, მდინარის კალაპოტის გალამაზებაზე. სწორედ ასე მოიქცა ჯერ კიდევ, 1986 წელს, როცა დაიწყო შემოგარენის გამშვენიერება-გალამაზება. შემდეგი წლები სულ რუსეთში ცხოვრობდა და შესაბამისად აქაური სამუშაოები შეწყდა საკმაოდ დიდი ხნით. ახლა, როცა საკუთარ მშობლიურ მიწას დაუბრუნდა, ბუნებით ესთეტმა კვლავ მოინდომა საკუთარი ოჯახისა და მეზობლებისთვის სასიამოვნო გარემო შეექმნა, ბუნების წიაღში, მდინარის პირზე. საკუთარი ინიციატივით ძალიან დიდი თანხაც დახარჯა საყრდენი კედლის ასაშენებლად და გზის კეთილმოსაწყობად. ბოლო თვეებში დაუმატა არაერთი მშვენიერი ნამუშევრები, მდინარისპირი ბეტონის კედელით გაამაგრა. კაცს ძალიან უნდა უყვარდეს მიწა-წყალი, ეზო და ბუნება, რომ მხოლოდ საკუთარ შემოღობილზე კი არ იფიქროს, არამედ ხალხზეც იზრუნოს. მოგეხსენებათ, ზაფხულში უამრავი დამსვენებელი სტუმრობს წაღვერს და მნიშვნელოვანია ჰაერთან და ბუნებასთან შერწყმული მოსასვენებელი ადგილები. გაგიკვირდება“ ალბათ, რომ „კარგის ამშენებელს მარჯვენას აჭრიდნენო“ და ჩვენ, ქართველებს, ერთმანეთის შურში ხომ ბადალი არა გვყავს. ბატონ თამაზ არბოლიშვილს ბევრი მომჩივანი გამოუჩნდა ამ უწყინარი, მეტიც, სასარგებლო აქტივობის გამო. გაკვირვებულია, ნაწყენიც, რომ ხალხი არაადეკვატურად აფასებს და ფიქრობს. თითქოს, ამ ყველაფრის შემოერთებას და დასაკუთრებას ცდილობსო, გაიძახიან. როცა არაფერს აკეთებ და კიდევ აზარელებ შენი ენით სხვას - ეს ყველაზე გაუმართლებელია. იქნებ, პირიქით, ხელი შევუწყოთ, თუ დახმარება არ შეგვიძლია, ენით მაინც ნუ დავკოდავთ ერთმანეთს! წარმატებები ბატონო თამაზ კეთილ საქმეში!

ვოლიკა ჟანტურია

ზურა ხაჩიძე, ბაგრატ უნანიანი, დათო ფილაური, გუცი ისაკოვი, ნიკო და გიორგი ბიბილურიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბაკურიანელი მხატვრის, საუკეთესო მეზობლის და არაჩვეულებრივი ადამიანის

გაიოზ კოზიაშვილის

გარდაცვალებას.